არაოფიციალური თარგმანი

2017/97218749-KEGY /13146740

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას საქართველოს საელჩოსადმი და 2017 წლის 31 ოქტომბრის N27/39811 ნოტის პასუხად აქვს პატივი აცნობოს, რომ თურქეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო მოხარულია, არასრულწლოვნების დასაქმების საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით უმასპინძლოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებს.

აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით, სამინისტრო მოგმართავთ თხოვნით, მოსამზადებელი საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით, მიეწოდოს ინფორმაცია ვიზიტის განხორციელების სავარაუდო თარიღების, დელეგაციის წევრებისა და მოლაპარაკებებზე სამუშაო ენის შესახებ.

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ განუახლოს თავისი ღრმა პატივისცემა საქართველოს საელჩოს.

ანკარა, 2017 წლის 1 დეკემბერი

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო
ანკარა